შინაგან დაავადებათა მართვა და გერიატრიის საფუძვლები

კურსი არის ინტეგრირებული. მთავრდება ტესტური **(MCQ)** ინტეგრირებული გამოცდით და კლინიკური უნარებისა და კომპეტენციების შფასებით ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით **(OSCE)**.

სტუდენტის მიღწევები ფასდება **100 ქულიანი სისტემით**, შუალედური შეფასების **(60 ქულა)** და ინტეგრირებული **გამოცდის (40ქულა)** შეფასების ჯამით.
შუალედური შეფასებების კომპონენტები (ჯამი 60 ქულა):
I. მეცადინეობებზე **<u>დასწრება- 5 ქულა</u>**
II. **<u>აქტივობები (4ქ+20ქ):</u>**
– **ავადმყოფობის ისტორია – 4 ქულა**. პაციენტის ერთი ისტორიის დაწერა ან ავადმყოფობის ისტორიის მოდელირება, გულისხმობს: კლინიკო-ანამნეზური მონაცემებს, სავარაუდო დიაგნოზს, დიფერენციულ დიაგნოსტიკას, გამოკვლევის გეგმას, მკურნალობის ტაქტიკას.
–კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის სიმულატორებზე. ფასდება: *აკადემიური აქტივობა, პრაქტიკული პროცედურის / მანიპულაციის ჩატარება, კლინიკური აზროვნება.* ფასდება მაქსიმუმ **– 20 ქულით** (**აქედან 5 ქულა** შინაგან დაავადებათა №3 დეპარტამენტის პედაგოგების მიერ და **15 ქულა** კლინიკური უნარების ცენტრის პედაგოგების მიერ). **ეს *20 ქულა* შედის შუალედური შეფასების 60 ქულაში.**
შინაგან დაავადებათა №3 დეპარტამენტის პედაგოგები სტუდენტებთან სიმულატორებზე მუშაობენ შემდეგი მიმართულებებით: ფილტვების აუსკულტაცია მოზრდილებში –მაქსიმუმ 6 ქულა, გულის აუსკულტაცია მოზრდილებში-მაქსიმუმ 6 ქულა და მუცლის ღრუს პალპაცია- მაქსიმუმ 6 ქულა, ჰიბრიდული მეცადინეობა.
18 X 0,28 = 5 ქულა
კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის პედაგოგები სტუდენტებთან სიმულატორებზე მუშაობენ შემდეგი მიმართულებებით:
ეკგ, ნორმის და პათოლოგიის განსაზღვრა - მაქსიმუმ 6 ქულა, არიტმიების ინტერპრეტაცია - მაქსიმუმ 6 ქულა, მოზრდილთა რეანიმაცია, არიტმიების მართვა 1- მაქსიმუმ 6 ქულა, მოზრდილთა რეანიმაცია, არიტმიების მართვა 2 - მაქსიმუმ 6 ქულა, ექოსკოპიის საფუძვლები - მაქსიმუმ 6 ქულა, ქირურგია 1 - მაქსიმუმ 6 ქულა, ქირურგია 2 (გადაუდებელი ქირურგიული დახმარება ტრამვის დროს) - მაქსიმუმ 6 ქულა, ოფტალმოლოგია, თვალის დაავადებები - მაქსიმუმ 6 ქულა, ოტოლოგია, ყურის დაავადებები - მაქსიმუმ 6 ქულა, სიმულატორების გამოყენება პაციენტის უსაფრთხოებისათვის - მაქსიმუმ 3 ქულა. **57 X 0,27 = 15 ქულა**
5+15=20 ქულა

<u>III.შუალედური ჩათვლები –24 ქულა</u>
(6შუალედური ჩათვლა, თითოეული მაქსიმუმ 4 ქულა.
(6X4=24 ქულა).თითოეულიჩათვლა მოიცავს 20 MCQ –ტესტს(multiple choice question-მრავალვარიანტული არჩევანის კითხვები). თითო ტესტი ფასდება 0,2 ქულით(20 X0,2 =4)
<u>IV.საბოლოო ჩათვლა - 7 ქულა.</u>
აქედან 5 ქულა 25 MCQ - ტესტი(განვლილი მასალიდან). თითო ტესტი შეფასდება 0,2ქულით (20X 0,2=5) და კლინიკური შემთხვევის (ქეისის) გარჩევა, ფასდება 2 ქულით: ავადმყოფის კლინიკურ -ანამნეზური მონაცემების ანალიზი და დიფერენციული დიაგნოსტიკა, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის და მკურნალობის გეგმა
სულ:5+2=7 ქულა

სულ: 5+4+20+24+7= 60 ქულა

ინტეგრირებული გამოცდის მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა;

ინტეგრირებული გამოცდა ტარდება 2 ეტაპად:

MCQ ტესტებით – max 30 ქულა, რომელიც ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში

OSCE(ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით) - max 10 ქულა.

სულ 30+10 =40 ქულა.

შუალედური შეფასებების კომპონენტების აღწერა:

I. დასწრება მეცადინეობაზე ფასდება 5 ქულით

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა - 56 დღე, შესაბამისად სტუდენტის ყოველდღიური დასწრება შეფასდება ≈ 0,08 ქულით.

II. აქტივობები ***<u>ფასდება 24 ქულით</u>***

- ***<u>ავადმყოფობის ისტორია</u>*** – ფასდება მაქსიმუმ ***<u>4 ქულით.</u>***

4 ქულა – ავადმყოფობის ისტორია წარმოდგენილია წერილობით, სრულყოფილად არის შეკრებილი ანამნეზი, სუბიექტური და ობიექტური მონაცემები სისტემების მიხედვით.გამოტანილია ადეკვატური წინასწარი დიაგნოზი, ჩატარებულია დიფერენციული დიაგნოსტიკა, შედგენილია გამოკვლევის გეგმა, დასაბუთებულია მედიკამენტური მკურნალობა.

3 ქულა– ავადმყოფობის ისტორია წარმოდგენილია წერილობით, სრულყოფილად არის შეკრებილი ანამნეზი, სუბიექტური და ობიექტური მონაცემები, მაგრამწინასწარი და დიფერენციული დიაგნოზები, კვლევის გეგმა სრულად არ შეესაბამება ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებს.

2 ქულა–ავადმყოფობის ისტორია წარმოდგენილია წერილობით, არ არის სრულყოფილად შეკრებილი ანამნეზი; სუბიექტური და ობიექტური მონაცემები,წინასწარი და დიფერენციული დიაგნოზები და კვლევის გეგმაარ შეესაბამება ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებს.

1 ქულა– ავადმყოფობის ისტორია წარმოდგენილია წერილობით.ანამნეზი არასრულყოფილია; სუბიექტური და ობიექტური მონაცემები არ არის სრულად შეკრებილი, არ არის გამოტანილი წინასწარიდა დიფერენციული დიაგნოზები, არ არის შედგენილიგამოკვლევის და მკურნალობის გეგმა.

0 ქულა– ავადმყოფობის ისტორია არ არის წარმოდგენილი.

- ***<u>კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება</u>*** თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის სიმულატორებზე ***<u>ფასდება მაქსიმუმ –20 ქულით.</u>*** (**აქედან max 5 ქულა** იწერება შინაგან დაავადებათა №3 დეპარტამენტის პედაგოგების მიერ და **max 15 ქულა** იწერება კლინიკური უნარების ცენტრის პედაგოგების მიერ).

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში ყველა მეცადინეობაზე ფასდება:

- აკადემიური აქტივობა - max 1 ქულა
- პრაქტიკული პროცედურის/მანიპულაციის ჩატარება - max 3 ქულა
- კლინიკური აზროვნება - max 2 ქულა

სულ 6 ქულა.

<u>აკადემიური აქტივობა:</u>

1 ქულა: ყურადღებით უსმენს პედაგოგს, ამომწურავად პასუხობს დასმულ შეკითხვებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს მეცადინეობაში, ტერმინოლოგია გამართულია;

0 ქულა:უყურადღებოდ უსმენს პედაგოგს, დასმულ შეკითხვაზე პასუხი არსებითად მცდარია.

<u>პრაქტიკული პროცედურის/მანიპულაციის ჩატარება</u> ფასდება შემდეგნაირად:

3 ქულა: სრულყოფილად ასრულებეს შესწავლილ უნარ-ჩვევას სიმულატორებზე, მულაჟებსა და მანეკენებზე, არ აღვევს თანმიმდევრობას, შეუძლია სრულფასოვნად ახსნას ჩატარებული მანიპულაცია/პროცედურა, ტერმინოლოგია გამართულია;

2 ქულა: შეცდომებს უშვებს შესწავლილი უნარ-ჩვევას შესრულებისას, არღვევს თანმიმდევრობას, ჭირდება დახმარება, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას და ვერ ხსნის მანიპულაციის/პროვედურის ჩატარების ეტაპებს;

1 ქულა: ვერ ახდენს შესწავლილი უნარ-ჩვევეის დემონსტრირებას დახმარების გარეშე, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას და ვერ ხსნის პროცედურის ეტაპებს;

0 ქულა: არანაირ ინტერსს და ცონდას არ ავლენს შესწავლილი უნარ-ჩვევის მიმართ.

<u>კლინიკური აზროვნება</u> მეცადინეობაზე ფასდება შემდეგნაირად:

2ქულა: სტუდენტი ამჟღავნებს კლინიკური და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, შეუძლია სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით ხელმისაწვდომი მონაცემების ინტერპრეტაცია, საკუთარი აზრის და გადაწყვეტილების დაცვა, რომლის საფუძველზეც აკეთებს დასაბუთებულ და რაციონალურ დასკვნას წარმოდგენილი შემთხვევის შესახებ;

1 ქულა: სტუდენტი ამჟღავნებს კლინიკური და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. შეუძლია ხელმისაწვდომი მონაცემების ინტერპრეტაცია, საკუთარი აზრის და გადაწყვეტილების დაცვა, თუმცა ვერ აკეთებს დასაბუთებულ და რაციონალურ დასკვნას წარმოდგენილი შემთხვევის შესახებ;

0 ქულა: სტუდენტი ვერ ამჟღავნებს კლინიკური და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. არ შეუძლია ხელმისაწვდომი მონაცემების ინტერპრეტაცია და ვერ აკეთებს დასაბუთებულ და რაციონალურ დასკვნას წარმოდგენილი შემთხვევის შესახებ.

III. შუალედური ჩათვლები – ჯამურად 24 ქულა, ტარდება MCQ ტესტებით;

(6 ჩათვლა სისტემების მიხედვით), თითოეული ჩათვლა ფასდება 4 ქულით. თითოეულ შუალედურ ჩათვლაზესტუდენტს ეძლევა 20MCQტესტი; თითოეული ტესტი ფასდება 0,2 ქულით; (20 X 0,2 = 4).

სულ 6X4 =24 ქულა.

IV. საბოლოო ჩათვლა - 7 ქულა

სტუდენტს ეძლევა 25 წერილობითი ტესტი განვლილი მასალიდან; თითოეული ტესტი ფასდება 0,2 ქულით.

(25X0,2 = 5) და კლინიკური შემთხვევების გარჩევა (ქეისი), ფასდებამაქსიმუმ 2 ქულით.

2 ქულა-ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, თავისუფლად ფლობს ტერმინოლოგიას;იცნობს ძირითად და დამატებით ლიტერატურას და ავლენს მისი გამოყენების უნარს. შეუძლია ავადმყოფის კლინიკურ-ანამნეზური მონაცემების ანალიზი და დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის გეგმის დასახვა და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა, საკუთარი მოსაზრების არგუმენტაცია.

1 ქულა– საკითხის ცოდნა ზედაპირულია; თავისუფლად ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, ძირითადი ლიტერატურის ცოდნა არ არის საკმარისი. უჭირს დასკვნების გაკეთება. დამაკმაყოფილებელია ავადმყოფის კლინიკურ-ანამნეზური მონაცემების ანალიზის,დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის გეგმის დასახვის და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის უნარი.

0 ქულა - საერთოდ ვერ ავლენს ძირითადი საკითხების ცოდნას.

5+2=7 ქულა

სულ: 5+4+20+24+7=60 ქულა

ინტეგრირებული გამოცდის მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა.

გამოცდა ტარდება MCQ ტესტებით უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში (max 30 ქულა) და ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა კლინიკური უნარ–ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში– OSCE (max 10 ქულა). სულ 30+10 =40 ქულა.

OSCE შედგება 12 სადგურისაგან, სადაც 10 აქტიური და 2 დასვენების სადგურია. თითოეულ სადგურზე სტუდენტი ფასდება სპეციალური, წინასწარ მომზადებული შეფასების ფურცლების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია მანიპულაციის შესრულების ყველა საფეხური. ამოცანები დაყოფილია ქმედებებად და თითოეული

შესრულებული ქმედებების სისწორე ფასდება 3 კრიტერიუმით – “ვერ ასრულებს”, “ასრულებს არასრულად” და “ასრულებს სრულფასოვნად”. შეფასება თითოეულ სადგურზე შეადგენს **0 - 1 ქულას.**

კრედიტების ეროვნული სისტემაშეიცავს შემდეგ კატეგორიებს:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx)არასაკმარისი – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომ სტუდენტს ესაჭიროება დამოუკიდებელად მეტი მუშაობა უკეთ მომზადებისათვის და მიეცემა დამატებით
  გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს სტუდენტის არასაკმარის ცოდნას და საგნისთავიდან შესწავლის აუცილებლობას.

გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, როდესაც სტუდენტი აგროვებს **24 ქულას** გამოცდის ორივე კომპონენტში (MCQ და OSCE), თითოეულში არანაკლებ 50%-სა.